პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

55 (1050)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## უფ-შემადგენლობის თვითმომზადების შემოწმებისათვის.

მარტის მეორე ნახევარში უნდა დაიწყოს ნაწილებში უფ-შემადგენლობის თვით მომზადების გასინჯვა. თუ რა მიზან-დანიშნულება აქვს ამ ნაბიჯს, დღეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. წითელარმიელთა აღზრდის საკითხი, მისი მხედრული და მოქალაქეობრივი გაწვრთნა-მომზადება დღეს შედარებით უფრო რთულ სახეს ღებულობს ვიდრე გასულ წლებში. წითელარმიელთა მასის საერთო კულტურული დონე ყოველ-წლიურად მაღლდება. გარდა ამისა სათანადოთ მატულობს და იზრდება მოთხოვნილება თითეული წითელარმიელის, რაც მეთაურისა და პოლიტიკურ მომუშავისაგან მოითხოვს დიდ ყურადღების მიქცევას.

საერთო მასიური კულტურული განვითარება და აქტივობის გაღვივება მშრომელთა მასებში თავის გამოსახვას პოულობს წითელარმიის რიგებშიც. ეს მდგომარეობა შესაძლებელს ხდის წითელარმიელის აღზრდის საქმე გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში დავაყენოთ და მებრძოლ მოქალაქის გაწვრთნა მეტად დაჩქარებით ვაწარმოოთ.

ასეთი მდგომარეობა ჩვენგან მოითხოვს მეტ გაღრმავებულ მუშაობის წარმოებას. ამისათვის კი საჭიროა უპირველესათ მომზადება იმ ძალის, რომელიც ვალდებულია ეს საქმე იკისროს. ეს ძალა არის უფ-პოლიტშემადგენლობა. ყოველივე ღონისძიება, ახალი მეთოდები და სხვა მხოლოთ იმდენათ შეასრულებს თავის დანიშნულებას, რამდენათ ამის გატარებისათვის მომზადებული არის ჩვენი წითელი არმიის ხერხემალი უფ-პოლიტშემადგენლობა. ამიტომ დღეს საკითხი მეთაურთა თვითმომზადების, მეტად სერიოზული საკითხია. უკვე დიდმა ხანმა განვლო, რაც თვითმომზადების საკითხს ჩვენ მივაქციეთ ნაწილებში მომუშავე ამხანაგების ყურადღება.

როგორც ზევით ვსთქვით, ამ რამოდენიმე ხნის შემდეგ უნდა დაიწყოს გასინჯვა ჩატარებულ მუშაობისა. გასინჯვამ უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ შედეგებს მიაღწია ნაწილებმა ამ დარგში, როგორ იყო დაყენებული მუშაობა, რა უშლიდა ხელს მას, რამდენათ სერიოზულად ეპყრობა ამხანაგები თვითმომზადების საქმეს და სხვა. ეს შემოწმება კიდევ ერთხელ მოგვაგონებს ამ საქმეს და გაყინულ წერტილიდან დასძრავს დღემდის სუსტად წარმოებულ მეთაურთა თვითმომზადების საქმეს. გამოცდების წინ საჭიროა ნაწილებმა მობილიზაცია მოახდინონ ნაწილის საზოგადოებრივ აზრის და მთელი ყურადღება მიაპყრან ხელშემშლელ და ხელსაყრელ პირობების გამორკვევას და მთელი გამოცდილების სათანადოთ აღნუსხვას. ერთხელ და სამუდამოთ უნდა განმტკიცდეს შეგნება თვითმომზადების აუცილებლობაზე.

## ახალი რადიო ამბები

### ერთა ლიგაში.

**„მშვიდობიანობის ატმოსფერა“ მძიმდება.**

სანამ გერმანიის დელეგატები უცდიან ჟენევის გადაწყვეტილებას, საქმე თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. მშვიდობიანობის ატმოსფერა, როგორც გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, თანდათან ჰქრება. გერმანიის ლიგაში ფორმალური მიღების საკითხი კიდევ შორსაა.

ამერიკის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგა მალე გაარკვევს საფრთხეს, რომელიც უქადის „მშვიდობიანობის გემს“.

### „მშვიდობიანობის“ მოყვარულნი საიდუმლოდ თათბირობენ.

კიდევ ერთხელ გაიმართა ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომა, რომელსაც არ დასწრებია ბრაზილიის დელეგატი.

ამასთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ ალბად ბრაზილიის დელეგაციამ ახალი ინსტრუქციები მიიღო.

### საბჭოთა მოწინააღმდეგე ორატორების დამარცხება.

**აღმოსავლეთის მუშა ჩვენი მოკავშირეა.**

ჩინელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ეწეოდა საბჭოთა საწინააღმდეგო კამპანიას, შეეცადა ჩაეტარებია პეკინის უნივერსიტეტში მიტინგი. დამსწრეთა შორის იყო მრავალი მუშა, რომლებიც მეტად აღაშფოთა საბჭოთა მოწინააღმდეგე ორატორების გამოსვლამ. მუშებმა სცემეს ორატორებს და ჩაშალეს კრება.

### მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე ტიან-ცზინში.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე, ტიან-ცზინში (ჩინეთში) აღნიშნულ იქნა მრავალრიცხოვანი მიტინგებით. მიტინგებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც ჩინეთის მშრომელი ქალები მხარს უჭერენ ჩინეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას.

### ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელახალი არჩევნები გერმანიაში.

მარტში მთელს გერმანიაში მოხდება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელახალი არჩევნები.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შესახებ 1920 წელში გამოცემულ კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მუშებს, რომლებიც მუშაობენ წარმოებებში. ამრიგად გერმანიის 17 მილიონი მუშიდან ორ ნახ. მილიონ მუშას საშუალება არ აქვს მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში.

### ამსტერდამის ბალკანეთის კონფერენცია.

ბულგარეთის გაზეთების ცნობით სოფიაში 9 აპრილს მოწვეულია ამსტერდამის (ყვითელი) ინტერნაციონალის ბალკანეთის კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საბერძნეთის, ბულგარეთის, სამხრით-სლავიის, რუმინეთისა და (შეიძლება) ოსმალეთის პროფკავშირთა წარმომადგენლები.

მოელიან პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებათა მდივნებს —ედდო-ფიმენს, პერსელს, კუკს და სხვებს. კონფერენციის მოწვევის მიზანია პროფმოძრაობის გამოცოცხლება ბალკანეთში.

### ხულიგანი მინისტრი.

ჩეხო-სლოვაკიის სენატში გაიმართა კამათი პრაგის ერთ-ერთ ქუჩაზე სამხედრო ჰურვების აფეთქების შესახებ.

კომუნისტ სკალაკობას შეკითხვაზე, თუ ვისთვის იყო დანიშნული ეს ყუმბარები, მოგერიებ-ს მინისტრ სტრშიბრნიმ განაცხადა: „თქვენთვის არ ყოფილა. თქვენთვის საკმარისია რეზინის ჯოხი“. ამ სიტყვამ დიდი ხმაურობა გამოიწვია ოპოზიციის სკამებზე. თავმჯდომარემ დაუშვებლად სცნო მინისტრის სიტყვები.

### ერთა ლიგის კომისიაში.

ერთა ლიგის კომისიამ, რომელიც განაგებს ახალ წევრების მიღების საქმეს, მოიწონა ქვეკომისიის მოხსენება გერმანიის წევრად მიღების შესახებ ყოველგვარ კამათის გარეშე და დაავალა ინგლისის წარმომადგენელს ჩემბერლენს მოახსენოს ეს დადგენილება ერთა ლიგის საერთო კრებას.

## საბჭოთა კავშირში

### სსრკ-ს ცაკის მეორე სესია.

ამიერკავკასიის და თურქმენისტანის საბჭოთა რესპუბლიკების აღმასკომების შუამდგომლობის გამო საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიის მოწვევა გადატანილია 25 მარტიდან 1926 წლის 10 აპრილისთვის.

**ს.ს.რ.კ. სრულიად გერმანიის გამოფენაზე.**

ამა წლის ივნისში მაგდებურგში გაიხსნება სრულიად გერმანიის გამოფენა.

საგამოფენო კომიტეტმა განსაკუთრებული მიწვევის ბარათი გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარიატს.

**ავტო-ტრანსპორტის გაძლიერების გეგმა.**

გზათა სამხკომმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის მთელი ავტო-ტრანსპორტის გეგმა იმ ანგარიშით, რომ მომავალი 5 წლის თავისთვის საბჭოთა მანქანების რიცხვი უნდა ავიდეს 81 ათასამდი.

## საქართველოში

### სამხრეთ-ოსეთი

**საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციისთვის**

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკმა განიხილა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის გეგმა, კერძოდ ის ნაწილი, რომელიც ეხება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს და შეიტანა შემდეგი დამატებები:

79 მუხლზე: „დანარჩენი სახალხო კომისარიატები ავტონომიური არიან თავიანთ მოქმედებაში და პასუხისმგებელი არიან ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების ცაკების წინაშე“.

81 მუხლზე: „ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებს აქვთ იგივე უფლებები მაგრამ საქართველოს ცაკის წინასწარ დამტკიცების შემდეგ“ (დეკრეტებისა და კანონპროექტების გამოცემის შესახებ).

82 მუხლზე: „კოდექსების პროექტები, რომლებიც გამოდიან მთელ საქართველოს რესპუბლიკისათვის, წინასწარ იგზავნებიან ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების ცაკებში გასაცნობად და შესწორებების შესატანად ადგილობრივ პირობებისდ მიხედვით“.

დანარჩენი მუხლები მიღებულია კონსტიტუციის პროექტის დედანში.

## ვემზადოთ საზეიმოდ.

21 მარტს სრულდება ქართულ წ. ლაშქრის არსებობის ხუთი წლის თავი.

ამ დღიდან საქართველოს ახალმა საბჭოთა მთავრობამ თავის დეკრეტით საძირკველი ჩაუყარა ქართულ წ. ლაშქრის შექმნის საქმეს, რომელსაც დაავალა ახალი ხელისუფლების დაცვა და გამტკიცება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქართული წ. ლაშქარი ყოველ დღიურათ ამტკიცებდა და ამაგრებდა თავის რიგებს და დღეს ჩვენ თავისუფლათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების შრომას წ. არმიის მშენებლობის საქმეში ფუჭათ არ ჩაუვლია, არამედ დღეს მის განკარგულებაში არის ისეთი სამხედრო მომზადებით, დისციპლინით და პოლიტიკურათ აღზრდილი წ. არმია, რომელიც ყოველ შემთხვევისათვის მზად არის დაიცვას თავის მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ამავე დროს პარტიამ და ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაშივე შექმნა კადრი ტერიტორიალურ ნაწილებისა, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დაამტკიცეს თავისი სამხედრო სიძლიერე.

დღეს კომუნისტურ პარტიას და ხელისუფლებას შეუძლია იამაყოს თავის სამხდრო ძალების მომზადებით და სიძლიერით, რომლებიც კარგათ ერკვევიან არსებულ მდგომარეობაში, კარგათ იციან ვის ინტერესებს იცავენ, იცნობენ შინაურ და გარეშე მტერ-მოყვარეს. ასე, რომ ჩვენი წ. მოლაშქრე კარგათ არის გარკვეული შექმნილ პირობებში და თუ საჭირო შეიქნა მისი ხელისუფლების დაცვა, მაშინ ის დაამტკიცებს თავის ერთგულებას ხელისუფლების წინაშე. ქართული წ. ლაშქრის დაარსებიდან ხუთი წლის თავზედ საქ. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ზეიმით აღნიშნოს განვლილი ხუთი წელი. ამ მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის თავმჯდომარეთ ითვლება პატივცემული ამხ. ფილიპე მახარაძე.

ამ კომისიამ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი, რომელიც დაკავშირებულია ნაწილებში ზეიმების ჩასატარებლათ. რასაკვირველია ამ დღისათვის ყველა ნაწილები შეეცდებიან ღირსეულად შეხვდენ და მოამზადონ წინასწარი მუშაობა ზეიმების ჩასატარებლათ. ამავე დროს საჭიროა ნაწილების შემადგენლობამ რედაქციის მოაწოდოს ცნობები და მოგონებები ჩვენი წ. ლაშქრის წარსულ ცხოვრებიდან, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ექნება საზეიმო დღისათვის.

მაშასადამე ჩვენი ქართული წ. ლაშქრის შემადგენლობა ემზადება თავის არსებობის პირველ ხუთი წლის თავის შესახვედრათ, ის ამ დღეს აღნიშნავს თავის ნაწილების მიერ განვლილ ხანას და შეადარებს ძველს და ახალს ერთად.

ამ ზეიმში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ წ. არმიელთა შემადგენლობამ, ნაწილის შეფებმა, საშეფო სოფლებმა და ადგილობრივ ორგანიზაციებმა.

მაშ ვემზადოთ ზეიმისთვის.

ს. ლომიძე.

# ვინ უნდა მივიღოთ კომკავშირის რიგებში.

კომუნისტურ ახალგაზრდათა ორგანიზაციამ კარგათ უნდა იცოდეს თავის მოვალეობა, რომელსაც კომუნისტური პარტია აკისრებს მას. ყველასათვის ცხადია რომ კომუნისტური კავშირის წევრები, მომავალში უნდა გახდენ კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებმაც უნდა შესცვალონ ძველი თაობა და სათავეში ჩაუდგენ პარტიას და ხელისუფლებას.

მაშასადამე ამ შემთხვევაში კომკავშირის წევრები თავის ორგანიზაციებთან ერთად მუდამ იმაში უნდა იყოს დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება თავის რიგები შეავსოს ისეთი ახალგაზრდობით, რომლებიც მომავალში მართლაც ღირსეული პარტიის წევრები იქნებიან. და თუ კომკავშირი ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს თავის რიგების ავ-კარგიანობაზედ, მაშასადამე მისი ორგანიზაციაც არ ივარგებს და არც პარტიაში მისცემენ ადგილს უვარგის კომკავშირელს. მე აქ მინდა აღვნიშნო მე-14 ყრილობის დადგენილებები კომკავშირის მუშაობის შესახებ. ამხ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ის დეფექტები, რომელიც ახასიათებდა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობას. მან სხვათაშორის შეეხო დისციპლინის დარღვევას კომკავშირის რიგებში და აგრეთვე აღნიშნა თუ ვინ არღვევდა დისციპლინას. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომკავშირში მიეღოთ არა პროლეტარული ელემენტები, რომლებიც სისტემატიურათ არღვევდენ დისციპლინას და კომკავშირის რიგებიდან გადიოდენ. ასეთმა პირობებმა კი შექმნა კომკავშირის რიგებში ერთგვარი გაუგებრობა, რომელსაც შეეძლო რაიმე უარყოფითი გავლენა მოეხდინა კომკავშირის ორგანიზაციაზედ. მაგრამ პარტიამ ამას დროზედ მიაქცია ყურადღება და მომავალში ყველა დეფექტები გამოსწორებული იქნება.

მე-14 ყრილობის დადგენილების თანახმად კომკავშირის რიგებში უნდა იქნეს მიღებული ახალგაზრდა მუშები, მოჯამაგირეები, უღარიბესი გლეხები და ახალგაზრდობა საშუალო გლეხობიდან აი ის უმთავრესი კადრი, რომლებიდანაც უნდა შეივსოს კომკავშირის რიგები. აქვე მინდა მოკლეთ შევეხო კომკავშირში შემომსვლელის შესახებ.

როგორც ვიცით კომკავშირში შემოდის ყველა ისეთი პირები, რომლებიც ზევით ავღნიშნე. მაგრამ ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ვინც შემოდის კომკავშირში ყველა ერთნაირი კლასიკური და პოლიტიკური მომზადების არ არის. ამ შემთხვევაში საჭიროა კარგად დაკვირვება ყველა იმ პირებზედ, ვისაც სურს კომკავშირში შემოსვლა. ცოდნის მხრივ გამოცდების დროს ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ მისი კლასიური, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით, რის გამორკვევის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ პირის კავში-ში მიღება.

მე 14 ყრილობის დადგენილებების შემდეგ, კომკავშირის ორგანიზაციამ მეტი დაკვირვება უნდა გამოიჩინოს კომკავშირში შემომსვლელ პირების შერჩევაში, და ამ რიგათ გაასწორონ ის შეცდომები, რომელიც აღნიშნიშნული იყო კომკავშირის წარსულ მუშაობაში.

შეიძლება უშუალოთ კომკავშირის ორგანიზაციამ ვერ შესძლოს ყველა შეცდომების ერთბაშად გამოსწორება, მაგრამ ამ შემთხვევაში მას დახმარებას გაუწევს, როგორც ასეულის უჯრედის შემადგენლობა, აგრეთვე ბ. კოლექტივიც. მე მგონია კომკავშირი პარტორგანიზაციის დახმარებით შესძლებს ყოველივე დეფექტების გამოსწორებას, რასაც წარსულში ქონდა ადგილი და ამით ის ერთი-ორათ გაამტკიცებს კომკავშირის რიგებს და სათანადო რეზერვს მოუმზადებს კომუნისტურ პარტიას.

—ლ.

# ომიანობის დროს პურის ცხობა დროებითი ღუმელებში.

ომიანობის დროს ჯარის პურით მომარაგების საქმე საგრძნობლად რთულია. ამ მომარაგების ორგანოებს არ მოეპოებად საჭირო რიცხვი პურის საცხობი ღუმელებისა, მაგალითად: სტრატეგიულმა მდგომარეობამ მოითხოვა სასწრაფოთ შეჯგუფება ძალებისა იქ, სადაც არ იყო ეს განზრახული და ამასთან უფრო ადრე, ვიდრე დანიშნულ ადგას მიტანილი იქნებოდეს საველე პურის საცხობი ღუმელები; ამას მოულოდნელად თან ერთვის მჭამელთა რიცხვის ცვლილება, რაიც გამოიხატება შტატით დაწესებულ რიცხვის ორჯელ და სამჯერ ზრდაში, რის გამოც საველე პურის საცხობში ღუმელები თავიანთი შტატით ვერასგზით ვერ აკმაყოფილებენ ყველა ნაწილებს. ამნაირ შემთხვევაში პურის ცხობა ხერხდება ან ადგილობრივ მცხოვრებლების თონეებში—ღუმელებში, ან კიდევ დროებით აგებულ ღუმელებში.

პირველი საშუალება თითქმის ადვილი და უფრო მოხერხებულია, მაგრამ ამას აქვს დიდი ნაკლულოვანებანი; მაგალითად: საჭიროა გამზადებულ იქნას პური რაზმისთვის, რომელიც შესდგება 50.000 კაცისაგან. პურის არსებული ყოველ დღიური ნორმის მიხედვით საჭიროა 3.050 ფუთი პური; ყოველდღიურად გლეხის თონე-ღუმელში შეიძლება გამოცხვეს 3-4 ფ. პური, ამნაირად საჭირო პურის რიცხვის გამოცხობის საქმეში შეიძლება ჩავაბათ 800-900 კომლამდის გლეხი, მაშასადამე პურის ცხობა იქმნებოდა სხვადასხვა ალაგას გაფანტული, რაც წარმოადგენს დიდ უხერხულობას, მეთვალყურეობისა და პურის გადატან-გადმოტანის მხრივ.

ამას გარდა შინაურ თონე ღუმელებში გამომცხვარი პური უფრო დაბალი ხარისხისაა: მცხოვრებლები სცდილობენ ნახონ, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა, ამიტომ იღებენ თონე-ღუმელებიდან ჯერ კიდევ სათანადოდ გამოუცხობელ პურს.

ეს შინაური ხერხი პურის ცხობისა შეიძლება გამოყენებულ იქმნას, მაგრამ მხოლოდ თვითეულ ნაწილის დასაკმაყოფილებლად, ან კიდევ ერთი რომელიმე პატარა რაზმის, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც არაა სხვა უფრო საიმედო საშუალება პურის ცხობისა.

უფრო მიზანშეწონილია დროებითი ღუმელების აშენება. ამ ღუმელებით ხშირათ სარგებლობენ მაშინაც კი, როდესაც არის საველე პურის საცხობი ღუმელები, რომლებიც იშლება თავის შემადგენელ ნაწილებით. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივი საველე ღუმელები (რომლებიც იშლება) ომიანობის დროს განუწყვეტლივ მუშაობის გამო ადვილათ იწვება, და ამიტომ საჭიროებს ხშირ შეკეთებას, რაიც აბრკოლებს სისტემატიურად პურის ცხობას; დროებითი ღუმელები კი ამ ნაკლულევანებას მოკლებულია.

მეორე უპირატესობა კიდევ ისაა, რომ ასეთი ღუმელი თავის კონსტრუქციით, ყველა ჯარის ნაწილს შეუძლია გარეშე პირების დაუხმარებლად ააშენოს იგი იმ სათანადო მასალით (აგური, თუნუქი) რაიც მოიპოება.

ნ. შანშიაშვილი.

# სამხედრო საქმე

## შენილბვა ბრძოლაში გამარჯვების მთავარი პირობაა

უსწორ-მასწორო ადგილ-მდებარეობის გამო ხშირად ჩნდება თვალისთვის დაუნახავი არე. მსროლელმა უნდა გამოიყენოს ეს დაუნახავი არე, რათა უხილავი გახდეს მტრის თვალისაგან.

დგება საკითხი: როგორ შეუძლია მსროლელს განსაზღვროს მტრისთვის ეს უხილავი არეები? ვსთქვათ მსროლელი სდგას. მისა და მტრის მოთვალთვალეს შორის ადგილ-მდებარეობა უსწორ-მასწოროა. ის ვერ ხედავს მტრის მოთვალთვალესა და ვერც მის სამყოფ ადგილს. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ვერც მტრის მოთვალთვალე ხედავს მსროლელს. რატომ არ შეუძლია მოთვალთვალეს დაინახოს მსროლელი? იმიტომ, რომ მსროლელი მოფარებულია ადგილის კონცხით, და არ იმყოფება მტრის მოთვალთვალის დასანახავ არეში. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: თუ რომ მსროლელი დაფარულია ადგილ-მდებარეობის უსწორ-მასწორობის გამო ისე, რომ ვერ ხედავს ვერც მტრის მოთვალთვალეს და ვერც მის სამყოფ ადგილს, იმ შემთხვევაში ვერც მსროლელს ხედავს მტრის მოთვალთვალე, ე. ი. მსროლელი შეგუებია ადგილ-მდებარეობას და შენილბულია. ეცოდინება რა ეს წესი, მსროლელს ყოველთვის შეეძლება განსაზღვროს-ხედავს თუ არა მას მტრის მოთვალთვალე.

ამას გარდა ადგილ-მდებარეობა არამც თუ მარტო მოთვალთვალისაგან ჰფარავს ხშირად მსროლელს, არამედ მტრის ტყვისაგანაც.

ამიტომ მსროლელი არ უნდა მოთავსდეს მაღლობის კონცხზე და მტრისკენ დაქანებულ ადგილზე. თუ რომ ეს ხანდახან აუცილებელი იქნება, მაშინ მაღლობის წვეროს ყოველთვის უნდა აუხვიოს გვერდი და მოთავსდეს გვერდებზე, ან და სწრაფად უნდა გადირბინოს.

ამას გარდა მსროლელი უნდა სცდილობდეს მოეფაროს თავის ტანისამოსის ფერ საგნებს. მაგალითად მსროლელი მიდის კარტოფილიან ადგილში გახუნებული (ყვითელი) ტანისამოსით. რა მოხდება აქ? აქ მტერი ადვილად შეამჩნევს მას. თუ რომ მსროლელი იმავე ტანისამოსით მიდის შვრიის მინდორზე (რომელსაც ყვითელი ფერი აქვს), მტერს გაუჭირდება მისი დანახვა და ამრიგად შენილბვის დისციპლინა დაცულ გექნება.

ი. ბ.

**ამხ. ამხ. წითელ არმიელებო, მეთაურებო და პოლიტ-მუშაკებო! 21 მარტს ქართული წითელი არმია დღესასწაულობს თავის არსებობის 5 წლის თავს. მოიწერეთ ყველამ მოგონებები, გატარებული მუშაობის მიღწევები ამ ხნის განმავლობაში და სხ.**

# სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა პირველ ქართულ დივიზიაში.

თებერვლის თვის უკანასკნელ რიცხვებში, ჩატარდა ქუთაისის გარნიზონის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების კონფერენცია. სამხედრო სამეცნიერო მუშაობა ჩვენ ნაწილებში ჯერ კიდევ უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციულ პერიოდს განიცდის, მაგრამ მაინც ზედმეტი არ იქნება ჯამი გაუკეთოთ ამ მუშაობას ქუთაისის გარნიზონის მასშტაბში, რათა ჩვენი პატარა გამოცდილება გამოიყენონ სხვა ნაწილებში არსებულ სამხედრო სამეცნიერო წრეებმაც.

**წრეების შინა მუშაობა.**

კონფერენციაზე ადგილების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამხედრო სამეცნიერო მუშაობას ამ ჟამად აქვს მტკიცე გეგმიური ხასიათი. ყოველი წრეს წინდაწინ აქვს გათვალისწინებული ის თემები, რომელიც უნდა დამუშავდეს წრის წევრების მიერ განსაზღვრულ დროის განმავლობაში. თემების დამუშავების საქმეში ცოტად თუ ბევრად არიან ჩაბმული წრის წევრები. აქ ჩვენ არ შეუდგებით დამუშავებულ თემების და საკითხების დასახელებას, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რაც ხაზგასმით აღნიშნა თვით კონფერენციამაც, **რომ თემების დამუშავების საქმეში და საერთოდ სამხედრო სამეცნიერო მუშაობაში უნცროს მეთაურთა შემადგენლობის და აქტიურ წითელ არმიელების ჩაბმა მიმდინარეობს ძლიერ სუსტად.**

ამის გამო კონფერენციამ მომავალ მუშაობის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად დაისახა სამხედრო ცოდნის წრეების მუშაობის გამოცოცხლება და ამ მუშაობაში უნცროს მეთაურების და აქტიურ წითელ არმიელების მეტი რიცხვის ჩაბმა.

კონფერენციამ მიაქცია ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სამხედრო სამეცნიერო მუშაობის საკითხები საკმაოდ არ შუქდება როგორც გაზ. „წითელ არმიელ“-ში, აგრეთვე ადგილობრივ კედლის გაზეთებში, რაც უარყოფს საშუალებას ურთიერთ გამოცდილების გამოყენებისათვის მუდმივ მუშაობაში. ამიტომ გამოითქვა სურვილი, რათა ხშირად შუქდებოდეს გაზეთებში სამხედრო სამეცნიერო წრის მუშაობის შესახებ, რისთვისაც ყოველ წრეში გამოიყოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც თავის ნებით დაიკისრებს თავის თავზე ამ მუშაობას.

**მოსახლეობის გასამხედროება**

ყველა სამხედრო სამეცნიერო წრეები მიმაგრებული არიან მუშათა კლუბებთან, სადაც ჩატარებულ იქნა მთელი რიგი მოხსენებებისა მოსახლეობის გასამხედროების შესახებ. სამ კლუბში ჩამოყალიბებულ იქნა სამხედრო კუთხეები, რომლებშიაც სამხედრო მუშაობის წარმოებისათვის მიმაგრებული არიან ნაწილებიდან მეთაურები და პოლიტმომუშავენი. ვინაიდან მუშაობა ამ მიმართულებით მხოლოდ ახლა არის დაწყებული ჩვენ ჯერ არ გვაქვს საშუალება აღვნიშნოთ მიღწევები. მეორე მხრივ იყო მთელი რიგი დაბრკოლებებისა ამ დარგში, რის გამო კონფერენციამ მხოლოდ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მუშაობის გასაღრმავებლად მომავალში.

სოფელში სამხედრო მუშაობის საქმეში სამხედრო სამეცნიერო წრეებს აგრეთვე წინ დაუხვდათ ისეთივე დაბრკოლებები, რაც მეორე მხრივ მწვავდებოდა სოფლების სიშორით. სოფელში იქნა მოწყობილი სამხედრო კუთხეები მხოლოდ ტერნაწილების სამხედრო-სამეცნიერო წრეების მიერ, რაც ყოვლად მიზანშეწონილია, ვინაიდან ტერნაწილების სტრუქტურა მეტად აახლოებს მათ სოფელთან. მიუხედავად ამისა მწვევამდელთა მზადებამ და მოკლე ვადიან შეკრებებმა ვერ მისცეს საშუალება ტერნაწილების ძირითად შემადგენლობას სოფლებში ჩამოყალიბებულ სამხედრო კუთხეებში აქტიურ მუშაობის წარმოებისათვის, რაც გაითვალისწინა თვით კონფერენციამ და სცნო საჭიროდ რათა გამოცოცხლდეს სოფელში სამხედრო კუთხეების მუშაობა შეკრებების დამთავრების შემდეგ, როდესაც ტერნაწილების უფშემადგენლობას ექნება თავის განკარგულებაში მეტი თავისუფალი დრო. ამასთანავე ერთად კოლექტიურ აბონომენტის წესით წიგნების გაცემას ნაწილების ბიბლიოთეკებიდან სოფლის სამხედრო კუთხეებში უნდა მიეცეს მეტი სისტემატიური ხასიათი.

**მოწაფეთა გასამხედროება**

თუ მუშაობა კლუბებში და სოფელში მოისუსტებდა, იგი არ შეიძლება ითქვას მოწაფეთა შორის მუშაობის შესახებ. ახალგაზრდობამ საშუალო განათლების სკოლებში დიდი ხალისით და აღრფთოვანებით მოჰკიდა სამხედრო საქმეს ხელი, მიუხედავათ იმისა, რომ მეცადინეობა არ არის სავალდებულო. ერთ-ერთ მე-2 საფეხურის შრომის სკოლაში, სადაც სამხედრო მეცადინეობა უკეთესად არის დაყენებული ვიდრე სხვა სკოლებში, გადიან მეცადინეობას 360 მოწაფე, რომელნიც დაყოფილი არიან 4 ჯგუფად. ვინაიდან № ლეგიონიდან სკოლაში არის მიმაგრებული ოთხი მეთაური, რომლებიც ასწავლიან მოწაფეებს სამ საგანს: სასროლო საქმეს, ქიმიურ დაცვას და ფიზკულტურის გაკვეთილებს, შემუშავებულია მეცადინეობის პროგრამა. სწავლება წარმოებს კვირაში ორხელ. პროგრამის ერთი ნაწილი უკვე გავლილია. ერთ-ერთ სკოლაში მოისურვეს სამხედრო ცოდნის შეძენა ქალიშვილებმაც, რის გამო მათთან, რომლის რიცხვი უდრის 80-ს, ტარდება საუბრები მცოდნე პირის მიერ სასანიტარო სამსახურის შესახებ ომის პერიოდში. ის გარემოებ, რომ მოწაფეთა სამხედრო მეცადინეობა პრაქტიკულად იქნა ჩამოყალიბებული უნდა მიეწეროს მიღწევად არა მარტო სამხედრო სამეცნიერო წრეებს, არამედ სახალხო განათლების ქუთაისის განყოფილების და საერთოდ ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარებას, რომელნიც შეძლებისდაგვარად ხელს გვიწყობდენ ამ მუშაობის შენების დროს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ასეთივე დახმარებას ადგილობრივი ორგანიზაციები გაგვიწევენ შემდეგშიც. თავის მხრივ ჩვენც, სამხედრო პირებმა „მტკიცეთ უნდა შთავაგონოთ ჩვენ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას, რომ თანამედროვე ომებს აწარმოებენ არა მარტო ჯარები, არამედ მთელი მოსახლეობა ერთად“ სთქვა ამხ. ფრუნზემ. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ უნდა მოვიხმაროთ ყოველგვარი საშუალებანი. ერთ-ერთ ასეთ მეტად მნიშვნელოვან საშუალებად სამხედრო სამეცნიერო მუშაობა წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ვემზადებით 21 მარტისათვის.

**მე-2 საკავშირო ასეული.**

11 მარტს ასეულში შესდგა კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელიც მიძღვნილი იყო თებერვლის რევოლიუციის ცხრა წლის თავზე. გაკეთებული იქნა მოხსენება თებერვლის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა მუშათა მოძრაობის ეტაპები 1905 წლიდან და აღნიშნა ამ მოძრაობაში ბოლშევიკების პოზიცია და მენშევიკების გამყიდველობა 1917 წლის რევოლიუციაში. მოხსენების გარშემო გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

მიმდინარე საკითხებში დასმული იყო საკითხი ქართული ლაშქრის 5 წლის თავის დღესასწაულის შესახებ, რომლის გარშემო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ახალაშვილი. გარჩეული იქნა ამის შესახებ დივიზიის პოლიტგანყოფილების ცირკულიარი. ვრცელი ახსნა-განმარტება მიეცა ამხანაგებს თუ რა უნდა აკეთონ და როგორ უნდა შეხვდენ დღესასწაულს. ამასთანავე ერთად არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა ნაწილში სადღესასწაულოდ მზადება.

სამხკორი დ. მათიაშვილი.

## ვსწავლობთ მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციებს.

**ცხენ. ლეგიონი.**

10 მარტს ლეგიონის პირველ ესკადრონში შესდგა ნაწილის ახკომკავშირელთა დახურული კრება, რომელზედაც უნდა გაგვერჩია 14 პარტყრილობის რეზოლიუციები და გაგვეხილა ახკომკავშირში შესვლის მსურველ ამხანაგების განცხადებები.

პარტყრილობის რეზოლიუციები ახკომკავშირის შესახებ დაწვრილებით იქნა განხილული. იყო მრავალი შეკითხვები ამხანაგებისაგან.

დასასრულ გარჩეული იქნა ორი ამხანაგის ანკეტა, რომლებიც სათანადო დაკითხვების შემდეგ მიღებული იქნენ კავშირის წევრებად.

სამხკორი პ. კახიძე.

## კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან.

**მე-5 ლეგ. ახკომკავშირი.**

ჩვენი ლეგიონის ახკომკავშირის მე-2 ჯგუფს კავშირი აქვს ადგილობრივ საქსოვი ქარხნის უჯრედთან. წინათ ეს კავშირი მოისუსტებდა სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგრამ უკანასკნელად საგრძნობლად გამოცოცხლდა. უჯრედში საკმაოდ მომზადებულმა ამხანაგებმა მოიყარეს თავი და შევსძელით უფრო მჭიდროდ დაკავშირება ქარხანასთან. ხშირად ეწყობა გაერთიანებული სხდომები და ირჩევა საერთო ხასიათის საკითხები. ორივე უჯრედი კოლექტიურად უშვებენ კედლის გაზეთს.

სამწუხაროდ რედკოლეგიის ზოგიერთი წევრები არ მუშაობენ შესაფერისად, რისთვისაც საერთო კრებაზე მათ საყვედური გამოეცხადათ.

უჯრედებს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი მახლობელ სოფლის ახკომკავშირის ერთი უჯრედი, სადაც იგზავნება ჩვენი წარმომადგენლები მოხსენების გასაკეთებლად.

ჩვენი კავშირი საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს, რისთვისაც იმედია ამხანაგები მიიღებენ შესაფერ ზომებს.

სამხკორი მ. ჭყონია.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

მე-3 ლეგიონის მზვერავ ოცეულის ლენინის კუთხეში არ მოიპოვება ერთი დასაჯდომი სკამი. საუბრების ჩატარებისა და საერთოდ კუთხეებში მეცადინეობის დროს ფეხზე გვიხდება გაჩერება, რაც უკმაყოფილებას იწვევს წითელ-არმიელებში. ბევრჯერ მივმართეთ ამის შესახებ კლუბის უფროსს, ბიბგამგეს, სამხკომს, მაგრამ ეს საქმე მაინც მოუგვარებელია. დროა მოგვეცეს სკამები ლენინის კუთხისათვის.

სამხკორი პ—ლი.

პირველი ლეგიონის ბატარეიაში, არ მიგვიღია ფეხსახვევები. წითელ არმიელებს ტიტველა ფეხზე უხდება წაღების ჩაცმა, რაც ძლიერ გვაწუხებს სიარულისა და მეცადინეობის დროს. საინტერესოა რად არ გვაქცევს ყურადღებას სამნეო ნაწილი და არ დაგვირიგებს ჩვენს კუთვნილს?

ველით ყურადღებას.

წ. არმ. ცეცხლი.

2-რე ლეგიონს ყავს ერთი ფოსტის დამტარებელი წითელ არმიელი, რომელიც ექვსი თვეა ასრულებს ამ მოვალეობას. ამხანაგს ყოველ დღე უხდება 6-სი ვერსი მანძილის გავლა ფეხით 3—4 ფუთამდე ფოსტის ზიდვა. რამოდენიმეჯერ მიმართა ამხანაგმა სამნეო ნაწილს, რაიმე საშუალების გამონახავად, რომ შრომა შეემსუბუქებია, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. დროა შეუმსუბუქონ ამხანაგს შრომა და ერთი ცხენი მაინც მისცენ ფოსტის გადასატანად.

სამხკორი გ—ძე.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ქიმიური ომი ტფილისში.

ომი იწყება დღის პირველ საათზე, მაგრამ უკვე დილიდან ვე მოდიან ქალაქიდან ქვეითი ჯარები, ცხენოსნები, არტილე-



**მეთაურთა შემადგენლობა თვალყურს ადევნებს ომის მსვლელობას.**

რია, ამფეთქი გუნდები, საკავშირო ოცეული, აირის გამშვები რაზმი. საბურთალოს უზარმაზარ სივრცეზე თანდათან იყრის თავს სხვადასხვა გვარი იარაღის ჯარები. ამ ორ მხარეთა სამხედრო თამაშის მიზანი იყო ეჩვენებია მოქალაქეთათვის სხვადასხვა გვარი იარაღის ურთიერთ დახმარება ქიმიური აირების ღრუბლით მოცულ მინდორზე. ქვეითი ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც აწარმოებდა მაღლობზე მოგერიებას, გამოხატავდა არიერგარდის (ზურგის ჯარს) დამცველ ნაწილს, მეორეს მხრივ ქვეითა ჯარისა და ცხენოსანის ამოცანა იყო შეემუსრა საფარი და გადაეჭრა გზა უკან დახეულ მოპირდაპირესთვის.

შეტევის დროს, შეტევაზე გადასულ ჯარებმა გახსნეს არტილერიის ცეცხლი ამაო ჭურვებით, ხოლო ჭურვების გახეთქის იმიტაციისთვის კეთდებოდა აფეთქება მოპირდაპირის



**კვამლის ფარდა.**

პოზიციის ახლოს. შეტევაზე გადასულ ნაწილს ჰფარავდა კვამლის ფარდა, რომელიც საშუალებას იძლეოდა ცოტად თუ ბევრად დაეფარა ნაწილების მოქმედება მოპირდაპირის თვალისაგან.

ქვეითი ნაწილების ფრთებს იფარავდა ცხენოსნები. შემდეგ დაიწყო მოპირდაპირის შევიწ-



**ბატარეა სროლის წინ.**

როება გზის გადაჭრის მიზნით, რათა ცხენოსნები ეშელონობით მივარდნოდენ მტერს.

ქიმიური ომის წარმატებით ჩატარებას ხელი შეუშალა უქარო ამინდმა.

ე. შმერლინგ.

## ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის 5 წლის თავი ახლოვდება. დააჩქარეთ მასალების გამოგზავნა რედაქციაში.

## გრძელ ვადიან შვებულებაში წასული წითელ არმიელები არ გვივიწყებენ.

**4-ე ლეგიონის 2-ე ათასეული.**

ჩვენი ყოფილი წითელ არმიელები დიდ კულტურულ და სხვა ხასიათის მუშაობას აწარმოებენ სოფლებში. ათასეულთან მჭიდრო კავშირი აქვთ. მოდიან ჩვენთან ეცნობიან ჩვენს მუშაობას და ღებულობენ სოფლად მუშაობისათვის ახალ დირექტივებს. ნაწილიდან დაცილებული ამხანაგები კი წერილობით იკავებენ ჩვენთან კავშირს. თავის წერილებში ახანაგები გვაცნობენ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას, გლეხების საერთო მდგომარეობას და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას.

ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ შვებულებაში წასულ წითელ არმიელებს ძალით იზიდავენ სხვა და სხვა ორგანიზაციები, როგორც საქმის საუკეთესო მცოდნისა და დისციპლინიან მომუშავეებს. ნაწილის იმედები სრულიად გაამართლეს ამხანაგებმა.

იმედი გვაქვს თავის საქმიანობას არც მომავალში შეასუსტებენ ამხანაგები.

სამხკორი ქუხელი.

## ვავრცელებთ გაზ. „წითელ არმიელს“.

**მე-4 ლეგ. მე-3 ათასეული.**

ჩვენი ათასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა ენერგიულად შეუდგა გაზ. „წითელ-არმიელის“ გავრცელების საქმეს. ამხანაგები მუშაობენ განსაკუთრებით მუშებსა და გლეხებში, რომლებიც სიამოვნებით ხვდებიან გაზეთის გამოწერას. ჯერჯერობით შეგროვილია ათასეულის მიერ 70 ხელის მომწერი. მუშაობა ისევ გრძელდება. მალე ასამდე მივიყვანთ ხელის მომწერთა რიცხვს.

იმედია სხვა ნაწილებიც წაგვბაძავენ და ენერგიულად შეუდგებიან ჩვენი საყვარელი გაზეთის გავრცელების საქმეს.

მიბაძეთ მე-4 ლეგიონის მე-3 ათასეულს.

სამხკორი იხარი.

## სამხკორის ხმამ გასჭრა.

**მე-3 ლეგიონი.**

გაზეთ „წითელ არმიელში“ აღნიშნული იქნა ლეგდრამწრის ხელმძღვანელის გულგრილობა მუშაობისადმი, რამაც იგი გამოაფხიზლა და იძულებული შეიქნა საქმისთვის უფრო ენერგიულად მოეკიდა ხელი. ამჟამად ის ყოველ დაძახილზე ჩვენთან არის, საჭირო ხელმძღვანელობას გვიწევს და თუ საჭიროება მოითხოვს სხვა ძალებიც მოყავს წარმოდგენის გასამართავად. მას სათანადო უნარი და მომზადება აქვს, რის გამოც მან ამ ბოლო დროს სათანადო ავტორიტეტი მოიხვეჭა წ/არმ. მასაში. ასეთ ხელმძღვანელს ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ და ვუსურვებთ უფრო ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი გოგია ჭალელი.

## ხშირად ასეთი საუბრები.

**1-ლი ლეგ. მე-3 ასეული.**

ჩვეულებრივი სამეცადინო საათების შემდეგ ასეულში ხშირად იმართება საუბრები მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის. წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან ამ საუბრებით, რადგან აქ უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს, ვიდრე მეცადინეობის დროს და უფრო გაბედულად აძლევენ შეკითხვებს მეთაურებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

განსაკუთრებით ხშირად გვესაუბრებიან ამხანაგები სამხედრო ქიმიაზე, ქიმიურ თავდაცვის შესახებ, საჰაერო ბრძოლაზე და სხვა. იმედია ასეთი მუშაობით მალე შესაფერად გავიწვრთნებით სამხედრო საქმეში. ჩვენი სურვილია, ნუ შეასუსტებენ ამხანაგები ამ საუბრებს, რაც აუცილებლად დიდ შედეგებს მოუტანს ასეულს.

წ. არმ. დინჯი.

## ჩვენს სამხკორთა შორის მე-2 ლეგიონის სამხკორთა მუშაობა.

ლეგიონში სამხკორთა მუშაობა ამჟამად კარგათ არის დაყენებული, შედარებით წარსულ წლებთან. როგორც ძველი 1924 წლის მასალები გვიჩვენებს, როგორც კედლის გაზეთები, ისე სამხკორთა მუშაობა ვერ იყო კარგად დაყენებული.

25 წელში მუშაობა უფრო გაუმჯობესდა, თუმცა მთლათ დამაკმაყოფილებლათ არ შეიძლება ჩაითვალოს, რასაც დივიზიის სამხკორთა კონფერენციის ოქმებიც აღნიშნავს: თავის დონეზედ არ იყო დაყენებული, სამხკორთა წრის მუშაობა კედლის გაზეთები ასეულებში არ გამოდიოდა, გაზეთ „წითელ არმიელში“ ლეგიონის სამხკორები არ გზავნიდენ წერილებს და მრავალი სხვა.

არ ყოფილა სამხკორთა კრებები და კოლეგიის თათბირები ორჯერს მეტად.

1926 წელში ამას სათანადო ყურადღება მიექცა. დაარსებულია წრე, სადაც მეცადინეობს 45 წით. არმიელი, მეცადინეობა სწარმოებს ორ ჯგუფად, რაც კარგ შედეგს იძლევა. ასეულებში ყოველ კომუჯრედს აქვს თავისი ორგანო. ლეგიონში სულ გამოდის 13 კედლის გაზეთი ყოველ 2 კვირაში ერთჯერ. ასეულის გაზეთები თანდათანობით უმჯობესდება ყოველი მხრივ. წერილების მეტი ნაწილი წ. არმიელებისაა, და ასეულის ცხოვრებიდან; ერთი სიტყვით დაიწყო დიდი ინტენსიური მუშაობა.

ამ უკანასკნელ დროს, არის ზოგიერთი სამხკორების და კედლკორების მიერ დაშვებული შეცდომები მუშაობაში, მაგრამ მალე ამასაც გამოვასწორებთ.

სამხკორი ვ. ლ.

## მოწერილი წერილებიდან

მე 2 ლეგიონის კლუბი კარგად არის მოწყობილი. ხშირად იმართება წარმოდგენები და კინო სურათები. წითელ-არმიელები ყოველთვის მრავლად ესწრებიან. რუსულ კინო-სურათების წარწერებს გვითარგმნიან ქართულად სურათის მსვლელობის დროს, რაზედაც დიდი კმაყოფილი რჩებიან ჩვენი წითელარმიელები. კარგი იქნება თუ ქართულ კინო-სურათებსაც გვაჩვენებს ჩვენი კლუბის ადმინისტრაცია.

სამხკორი ვ. ღელისპირელი.

—

პირველ არტლეგიონში გვაქვს ბიბლიოთეკა, საიდანაც გამოგვქონდა სახელმძღვანელო წიგნები და ვმეცადინეობდით. აგერ ორი-სამი კვირაა რაც ამის საშვალება აღარ გვაქვს. მივალთ თუ არა ბიბლიოთეკაში გვეუბნებიან: რევიზია არის და წიგნების გაცემა არ შეიძლებაო. როგორც იქნა მოვესწარით რევიზიის დასრულებას, მაგრამ ეხლა ბიბგამგეს ვერ ვნახულობთ თავის ადგილზე და მისი თანაშემწე კი არ იძლევა წიგნებს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე.

სამხკორი მეხი.

## ტრაქტორები გლეხობას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო „ფორძონის“ სისტემის 35 ტრაქტორი, რომელებიც განაწილდა მაზრებ შორის უშუალოთ გლეხებისათვის გადასაცემათ.

დასავლეთ საქართველოში ტრაქტორები დაურიგდა შემდეგ ორგანიზაცია-დაწესებულებებს შორაპნის მაზრაში: ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი, საჩხერის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი და სამაზრო აღმასკომს—1 ცალი. 2) ქუთაისის მაზრა: სვირის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი, ვანის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი, დიდ-ჯიხაიშის—1 ცალი, ხონის—1 ცალი. 3) სენაკის მაზრა: აბაშის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი, ახალ-სენაკისას—1 ცალი. 4) ზუგდიდის მაზრა: დარჩელის საკრ. ამხ ბას—1 ცალი, ხობისას—1ცალი, ზუგდიდში ამხანაგობა „კომუნას“—1 ცალი.

სულ დასავლეთ საქართველოში დარიგდა 12 ცალი ტრაქტორი.

აღმოსავლეთ საქართველოს ამ მხრივ მიქცეული აქვს მეტი ყურადღება, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხელსაყრელი პირობებია მანქანების მუშაობისათვის. გარდა ამისა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონები ითვლებიან პურის ღედათ და იქ გაუმჯობესებული მანქანების შეტანა შესამჩნევათ ასწევს ჩვენ სასოფლო-მეურნეობას.

აღმოსავლეთ საქართველოში ტრაქტორები დანაწილდა ამნაირათ: სიღნაღის მაზრაში არსებულ სას.-სამ. ბანკის განყოფილებას მიეცა 10 ცალი ტრაქტორი, რომელთაც ის გაანაწილებს, ისე როგორც უფრო მიზან შეწონილათ იქნება ცნობილი.

თელავის მაზრა: სამაღმასკომს მიეცა—1 და სამაზრო გლეხკომს—1 ცალი. ტფილისის მაზრა: ასურეთის საკრედიტო ამხანაგობას—1, ტფილისის აღმასკომს—2 ცალი. გორის მაზრა—სამაზრო აღმასკომს მიეცა 3 ტრაქტორი. ბორჩალოს მაზრას მიეცა—2 ტრაქტორი და ახალციხისას—1 ცალი.

გარდა ამისა განათლების სახალხო კომისარიატს მიეცა—2 ცალი ტრაქტორი.

დ.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### როგორაა მოწყობილი სამყარო.

**ბუნდოვანი ვარსკვლავები.**

(გაგრძელება)

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ ორი გაციებული, უგზო უკვლოდ მოხეტიალე ვარსკვლავების ერთმანეთზე დაჯახებით საფუძველი ეყრება ახალი ქვეყნების გაჩენას. პირველად წარმოიშობა ბუნდოვანობა. ასეთი ბუნდოვანობანი ეხლაც მრავლად მოიპოება ცის თაღზე. ბუნდოვანობისაგან ახალი ქვეყნის წარმოშობის პირველი სახე მბრუნავი ბუნდოვანობა. ის ტრიალებს წარმოუდგენელი სიჩქარით, თანდათან მჭიდროვდება, რგვალდება, მაგრდება და შემდეგ მისი ბრუნვის სიჩქარე იმდენად იზრდება, რომ ეს მბრუნავი ბუნდოვანობა იცსხვრევა და ორი მხრივ უშვებს გაზების ნაკადს.—ამნაირად ეს ბუნდოვანობა გადადის სპირალურ სახის ბუნდოვანობაში.

სპირალური ბუნდოვანობა კიდევ უფრო მაგრდება და ჩნდება მაგარი მტერია. აქედან დასაწყისი ეძლევა ახალ ქვეყნებს, ახალ მზეებს.

იმის სინამდვილით წარმოდგენა თუ როგორ ჩნდებიან ბუნდოვანობიდან ახალი ვარსკვლავები არ შეიძლება, მაგრამ ბუნების იმ კანონების მიხედვით, რომელიც ჩვენ ვიცით, მათი წარმოშობა ასე უნდა ხდებოდეს.

ბუნდოვანობიდან გაჩენილი ვარსკვლავი წარმოადგენს ცივ მზის ნაირ მეტეორიულ ბურთს. სოფლიოო მიმზიდველობის კანონის ძალით ამ ვარსკვლავის ყველა ნაწილაკები მიიზიდებიან მისი ცენტრისაკენ. ამიტომ ვარსკვლავი იკუმშება, მაგრამ ეს შეკუმშვა ისეთი სისწრაფით ხდება, რომ ვარსკვლავის ნაწილაკები დიდი ძალით აწვებიან ერთმანეთს, ხურდებიან და ვარსკვლავი იწყებს სინათლის სხივების გამოშვებას.

რაც უფრო მოყვითალო ფერისაა ცის თაღზე მანათობელი ვარსკვლავი, მით უფრო მოხუცია ის. წითელი ფერის ვარსკვლავები უფრო ახალგაზრდანი არიან. ჩვენი მზე მოხუცებისაკენ არის წასული მეცნიერების აზრით და მიახლოვებული თავის ცხოვრების დასასრულს.

**ქვეყნების დაღუპვა.**

მაგრამ როგორ მოკვდება ჩვენი მზე და როგორ კვდებიან სხვა ვარსკვლავები?

ერთი მეცნიერის—არენიუსის აზრით მზე გაცივდება-დაბნელდება და დაიწყებს მსოფლიო სივრცეში უგზო-უკვლო ხეტიალს მანამ, სანამ არ შეხვდება სხვა სხეულს და არ დაეჯახება მას და გაჩნდება ისევ ბუნდოვანობა. ამისათვის არენიუსის აზრით საჭიროა ჯერ კიდევ ერთი ტრილიონი წელიწადი. მეორე მეცნიერი ინნესი სხვანაირად გვისურათებს ქვეყნების დაღუპვას. თანდათანობითი გაციებით ვარსკვლავი განუწყვეტლივ იკუმშება. შეიძლება დადგეს ისეთი მეყი (მომენტი) შეუძლებელი იქნება მეტი შეკუმშვა და ვარსკვლავი აფეთქდება—გაჩნდება ბუნდოვანობა.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ ენისელის წვევამდელების სახელით 11 ცალ გაზ. „წითელ არმიელს“ ორი თვით და ვიწვევ ფშაველის წვევამდელთა წერტის უფროს პოლ ტხელს ამხ. ახალკაცს; იმედია ამხანაგიც გამოიწერს ქოხ-სამკითხველოებისათვის გაზ. „წითელ არმიელს.“

ენისელის წერტის პოლიტხელი ვ. დოლიძე.

ქ. ახალ-სენაკის სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმის მოწაფის—ამხ. გიორგი ჯანაშიას გამოწვევის თანახმად, ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ სამი თვით და ვიწვევ ამავე ტეხნიკუმის მოწაფეს—გ. ჯანაშიას.

ვ. ჯანაშია.

## ბიბლიოგრაფია.

**ჟურნალი „მნათობი“ № 1 (21) 1926 ტ. „პოლიტგანის მთავარმართებლობა“ გვ. 254 ტირაჟი 3.000.**

ქართულ პერიოდულ გამოცემებიდან დღესდღეობით ჟურნალი „მნათობი“ ყველაზე სერიოზული და მისაღებია. მისი თითეული ნომრის გამოსვლა ახალ მასალას გვაძლევს და ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში საკუთარ კვალს აჩენს.

ამჟამად ჩვენს წინ დევს, ახლახან გამოსული მისი უკანასკნელი ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ საინტერესო და საყურადღებოა. უპირველეს ყოვლისა, ქართული პროზის აღორძინება უკანასკნელ პერიოდში სწორეთ ამ ჟურნალით დაიწყო. ხსენებულ ნომერში მოთავსებულია:

I გრ. რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“, რომელიც ჯერ დასრულებული არაა და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ავტორის ჩვეულებრივ მძიმე ენითაა ნაწერი.

II მალაქიაშვილის—„სამნი“ ესეც არაა დასრულებული, მაგრამ პირველ ნაწილში ავტორი, მისთვის ჩვეულებრივი სადა და მოქნილი ენით აგვიწერს 1905 წლის რევოლიუციის სამზადისს ჩვენს სოფლებში. ვნახოთ რა განვითარებას მისცემს მას შემდეგში მალაქიაშვილი, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ რომ ჯერ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ლ. ქიაჩელის მეტს, ეს საყურადღებო კარგა არავის მოუხმარია.

III მიხ. ჯავახიშვილი. „თეთრი საყელო“ საინტერესოა იმდენათ, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის მიყრუებული კუთხე, ფშავ-ხევსურეთის ჩვეულებებს გვახსენებს და გვაცნობს, კერძოთ-წაწლობას, რომელსაც მხოლოთ ვაჟა-ფშაველა შეეხო თავის ეთნოგრაფიულ წერილებში და შარშან—ს. მაკალათიამ უძღვნა კერძო მონოგრაფია—„წაწლობა და სწორფრობა ხევსურეთში“.

საინტერესოა მონოგრაფიული განყოფილება და ა. ჭელიძის „წერილები სპარსეთიდან“. ამ ნომერში სრულდება დ. კლდიაშვილის მოგონებანი და ელისაბედ ყაზბეგის „ა. ყაზბეგისა და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები“. ეს საკითხი მეტად სადაოა და საბიბლიოგრაფიო წერილში მისი განხილვა შეუძლებელიც.

პოეზიიდან საინტერესოა თავისი მუსიკალობით მ. შაშვილის „პატარა“. იგი ნაწილობრივ ბესიკის გავლენითაა დაწერილი, რასაკვირველია მუსიკალური მხრივ.

საერთოთ—ეს ერთად-ერთი სერიოზული ჟურნალია და ყველა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა უნდა გამოიწეროს. კარგი ნათარგმნია, რუსეთის სამოქალაქო ომის ეპიზოდები—დემნა შენგელაიას მიერ.

გრ. შავგულიძე.

## მე-5 ლეგ. მე-2 ათასეულის პოლიტხელ ამხ. გიორგობიანის საყურადღებოთ.

თქვენს შეკითხვაზე რედაქცია გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ გამოწერილი გაზეთი სისტემატიურად იგზავნება პირველი მარტიდან შემდეგი მისამართით: უწერის თემის ქოხ-სამკითხველოს, ონი—სამხ. კომისარიატში—ივანე სანებლიძეს, ვასილ გვენცაძეს, მინა იაშვილს; ონი მიწა ტყის კავშირში ლადო ენუქიძეს, სოფ. შქმერის ქოხ-სამკითხველოს სოფ. შარდომეთის ა. ლ. კ. კ. უჯრედს, ვასილ ჯაფარიძეს, ბ. ბოჭორიშვილს, გერასიმე შერაზოდიშვილს, კ. ენუქიძეს, ივ. ჯანელიძეს, ვ. წამალაშვილს, ლ. მასხარაშვილს, ა. ჩიკვილაძეს, მარიამ გამყრელიძეს.

რედ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ა. ლ. კ. კავშირის წევრს ამხ. ვლადიმერ ალექსანდრესძე დარჩიაშვილს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობოთ 7 დღის განმავლობაში, ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში.

ქ. ს. პ. სკოლის კომუჯრედის პ. მ. მდივანი ნ. კვირკველია.

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

დღემდე, ე. ი. 13 მარტამდე მიღებულ ცნობების თანახმად მოგვყავს სათანადო ცნობები როგორც არჩევნებ-დამთავრებულ, ისე დანარჩენ მაზრებისა და ავტ. ერთეულების შესახებ:

**ახალქალაქის მაზრაში.** 10 თემიდან არჩევნები დამთავრდა 7 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 469, წევრი ამათში—31 ქალი, კომუნისტი—33, კანდიდატი—15, ახ. ლ. კ. კ. წევრი—29 და უპარტიო—392.

**ახალციხის მაზრაში.** 19 თემიდან არჩევნები დამთავრდა 2 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 41 წევრი, ამათში—5 ქალი, კომუნისტი—3, კანდიდატი—2, უპარტიო—36.

**ბორჩალოს მაზრაში.** 31 თემიდან არჩევნები დამთავრდა 31 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 797 წევრი, ამათში—35 ქალი, კომუნისტი—71, კანდიდატი—44, ახ. ლ. კ. კ. წევრი—59, უპარტიო—623.

**გორის მაზრაში.** 33 თემიდან არჩევნები დამთავრდა 18 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 997 წევრი, ამათში—106 ქალი, კომუნისტი—175, კანდიდატი—53, ახ. ლ. კ. კ. წევრი—101 და უპარტიო—668.

**დუშეთის მაზრაში.** 15 თემიდან დამთავრდა არჩევნები 15 თემში, არჩეულია საბჭოს 571 წევრი, ამათში—30 ქალი, კომუნისტი—68, კანდიდატი—61, ახ. ლ. კ. კ. წევრი—50 და უპარტიო—392.

**თელავის მაზრაში.** 19 თემიდან არჩევნები დამთავრდა 19 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 1019 წევრი, ამათში—124 ქალი, კომუნისტი—121, კანდიდატი—59, ახ. ლ. კ. კ. წევრი—91 და უპარტიო—748.

**სიღნაღის მაზრაში.** 32 თემიდან არჩევნები დამთავრდა 22 თემში, არჩეულია საბჭოს 1051 წევრი, ამათში—104 ქალი, კომუნისტი—253, კანდიდატი—29, ახ. ლ. კ. კ. წევრი—76 და უპარტიო—693.

**ტფილისის მაზრაში.** 18 თემიდან არჩევნები დამთავრდა 10 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 753 წევრი; ამათში—68 ქალი, კომუნისტი—183 და ახ. ლ. კ. კ. წევრი—55.

**ზემო-სვანეთის მაზრაში.** 15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 15 თემში, არჩეულია საბჭოს 118 წევრი; ამათში—5 ქალი, კომუნისტი—15 და ახ. ლ. კ. კ. წევრი—9.

**ზუგდიდის მაზრაში.** 49 თემიდან არჩევნები დამთავრდა 49 თემში, სულ არჩეულია საბჭოს 1326 წევრი; ამათში—129 ქალი, კომუნისტი—310 და ახ. ლ. კ. კ. წევრი—86.

**ოზურგეთის მაზრაში.** 41 თემიდან არჩევნები დამთავრდა 25 თემში, არჩეულია საბჭოს 775 წევრი; ამათში—102 ქალი, კომუნისტი—342, და ახ. ლ. კ. კ. წევრი—51.

**სენაკის მაზრაში.** 39 თემიდან არჩევნები დამთავრდა 19 თემში, არჩეულია საბჭო 606 წევრი, ამათში—29 ქალი, კომუნისტი—132, კანდიდატი—65 და ახ. ლ. კ. კ. წევრი—38.

**რაჭის მაზრაში.** 29 თემიდან არჩევნები დამთავრდა 29 თემში, არჩეულია საბჭოს 751 წევრი, ამათში—78 ქალი, კომუნისტი 137, კანდიდატი—72, ახ. ლ. კ. კ. წევრი—49 და უპარტიო—493.

**ლეჩხუმის მაზრაში.** 15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 14 თემში; არჩეულია საბჭოს 457 წევრი; ამათში—37 ქალი, კომუნისტი—106, კანდიდატი—35, ახ. ლ. კ. კ. წევრი—37 და უპარტიო—279.

**ქუთაისის მაზრაში.** 47 თემიდან არჩევნები დამთავრდა 29 თემში, არჩეულია საბჭოს 1450 წევრი, ამათში—72 ქალი, კომუნისტი—87, კანდიდატი—82, ახ. ლ. კ. კ. წევრი—45 და უპარტიო—1236.

**შორაპნის მაზრაში.** 36 თემიდან არჩევნები დამთავრდა 17 თემში, არჩეულია საბჭოს 864 წევრი, ამათში—80 ქალი, კომუნისტი—103, კანდიდატი—54, ახ. ლ. კ. კ. წევრი—64 და უპარტიო—643.

**ქ. ფოთზე** მიწერილ ყულევის თემში არჩევნები დამთავრდა. სულ არჩეულია საბჭოს 12 წევრი ამათში—1 ქალი, კომუნისტი—4, კანდიდატი—1, ახ. ლ. კ. კ. წევრი—1 და უპარტიო—6.

## ჩვენი ფოსტა.

**ახალავას** (6-სე ლეგ.) თქვენი წერილი ცვალებადელთა მიწერის შესახებ დაგვიანებულია. მოიწერეთ შეკრების შედეგების შესახებ.

**ვარ. ერამეიშვილს** თქვენი წერილი ქალთა დღის მნიშვნელობის შესახებ დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

**ვ. ბერიძეს** წერილი კომკავშირის ამოცანებზე არ გამოდგა.

**ვ. ჩაგელიშვილს, მ. ცქიფურიშვილს, სამყურაშვილს, იოსელიანს, ტ. მამალაძეს და კალამკაროვს**—თქვენი წერილები კედლის გაზეთების შესახებ აღარ დაიბეჭდება. საკითხი სრულიად გამორკვეულია და რედაქციამ შესწყვიტა ამის გარშემო დისკუსია.

**ბაირბლოის პირველს** (სამხედრო—პოლიტსკოლა) თქვენი კორესპონდენცია მოხუცებულის შესახებ, გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**შ. ლილუაშვილს** წვევამდელების მოწვევის შესახებ დაგვიანებით მივიღეთ წერილი. არ დაიბეჭდება. მოიწერეთ შეკრების შედეგებზე.

**ხიტირიას** (4-ხე ლეგ.) წერილი წვევამდელებთან მეცადინეობის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ალ. ელენაშვილს** წერილი „არ ჩატარდა საღამო“ უმნიშვნელოა. არ დაიბეჭდება.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.